## ბიუჯეტის 2024 წლის II კვარტლის ანგარიში

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 37750,0 ათ.ლარით.

2024 წლის განმავლობაში განხორციელდა 1 ცვლილება.

**1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის №8 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 36 007 952,94 ლარით.**

საბიუჯეტო ცვლილების გათვალისწინებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **73 757,95** ათ.ლარით.

## შემოსულობების ნაწილის ანალიზი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 2023 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 32 282,0 ათ. ლარი რაც წლიური გეგმის 51,38 %-ია (წლიური დაზუსტებული გეგმა 62 830,8 ათ.ლარი). წინა წლის ანალოგიური პერიოდის შემოსავლებთან შედარებით (28 335,12 ათ.ლარი), შემოსულია 3 946,88 ათ. ლარით მეტი.

2024 წლის II კვარტლის შემოსავლები:

- ქონების გასახადის გეგმა 77.2 %-ით ( წლიური გეგმა 7900,0 ათ.ლარი შესრულება 6 106.4 ათ.ლარი) ;
- დღგ-ს გასახადის გეგმა 47.9 %-ით ( წლიური გეგმა 25 129,5 ათ.ლარი შესრულება 12 041.1 ათ.ლარი) ;
- შემოსავალი პროცენტებიდან გეგმა შესრულდა 72.65 %-ით ( წლიური გეგმა 230,0 ათ.ლარი შესრულება 167.1 ათ.ლარი) ;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 45.6 %-ით ( წლიური გეგმა 534,9 ათ.ლარი, შესრულება 244.0 ათ.ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 36.7 %-ით( წლიური გეგემა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 36.7 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 28.8 %-ით (გეგმა 250,0 ათ.ლარი, შესრულება 72.0 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 54.2 %-ით (გეგმა 300,0 ათ.ლარი შესრულება 162.7 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 46.1 %-ით (წლიური გეგმა 2 370,0 ათ.ლარი,შესრულება 1 093.0 ათ.ლარი);
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 166,5 %-ით (წლიური გეგმა 20,0 ათ.ლარი, შესრულება 33.3 ათ.ლარი);

- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 264,0 %-ით (წლიური გეგმა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 264,0 ათ.ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 66.92 %-ით (წლიური გეგმა 500,0 ათ.ლარი,შესრულება 334.6 ათ.ლარი);

2024 წლის 1 ივლისამდე მდგომარეობით მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 11 726,8 ათ.ლარი, მათ შორის:

ა) სტიქია – 942,4 ათ.ლარი ;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 157,2 ათ.ლარი ;

გ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად – 2 803,0 ათ.ლარი;

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 7 505,3 ათ.ლარი;

ე) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – 300,0 ათ.ლარი;

ვ) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები – 18,9 ათ.ლარი;

## გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი ( ხ ა რ ჯ ე ბ ი )

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს 73 757,9 ათ.ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შეადგინა 33 002,1 ათ. ლარი წლიური გეგმის 44,74 % -ია.

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 3 844,9 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 9 922,1 ათ.ლარი) 38,75 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 17 104,7 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 38 712,5 ათ.ლარი) 44,2 % ;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 921,7 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 4173,0 ათ.ლარი) 46,05 %;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 5 511,9 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 10 556,2 ათ.ლარი) 52,2 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 3 417,2 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 7090,0 ათ.ლარი) 48,2 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 1 114,5 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 2 984,0 ათ.ლარი) 37,35 %;
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 86,9 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 320,0 ათ.ლარი) 27,17 %;

2024 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 75,3 ათ.ლარი.

(0300)

ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი

# 2024 წლის I კვარტლის ანგარიში

## დასუფთავების განყოფილება

ქალაქ ოზურგეთში ყოველდღიურად სუფთავდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 29 ქუჩა, 4 მოედანი (გმირთა, თეატრი, რკინიგზის სადგური და თამარ მეფის) 4 პარკი (ჭადრების, რეზიდენციის წინ, თეატრის, ნინოშნიულის ქ.-ის და სიორიძის) და 4 სკვერის (ჭავჭავაძის, თაყაიშვილის, ნინოშვილის და რუსთაველის) დაგვა დასუფთავება.

ასევე პერიოდულად ხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების (სოფელი) ცენტრალური მოედნებისა და არსებული სკვერების დაგვა-დასუფთავება. ჯამი. 71310 მ2

დაგვა-დასუფთავებითი სამუშაოები ხორციელდება შემდეგი ქუჩებზე: მეცნიერების, სანაპიროს, სახოკიას ქუჩა, 26 მაისის, დოლიძის, გამსახურდიას, კოსტავას, ნინოშვილის, გაბრიელ ეპისკოპოსის, სოფ. ოზურგეთი, იაკობ შემოქმედელი, ნიკო ნიკოლაძე, თაყაიშვილის, 9 აპრილის, ი. პეტრიწის, ჭავჭავაძის, დოლიძის, დ. აღმაშენებელის, ნინოშვილის, ნაკაშიძის, გურამიშვილის, გრიბოედოვი, რუსთაველის, ფარნავაზ მეფის, ლალიონის, რამიშვილის, ერისთავის.

ზემოდ აღნიშნული ქუჩების საერთო ფართობი: --- 248 680 მ2.

შეკვეთილი : --- 27000 მ2.

ურეკი: --- 60000 მ2.

ურეკის მობილური ჯგუფი: --- 12000 მ2.

სულ ჯამი: --- 347680 მ2.

ქალაქის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება სანაგვე ურნების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო სოფლებში ყოველ მესამე დღეს.

მუშაობს ნაწილობრივი ზარის პრინციპი რომელიც ემსახურება ნარჩენების გატანას ჩვენს მიერ აუთვისებელი ტერიტორიებიდან. აგრეთვე ვაგროვებთ პლასტიკს და ვპრესავთ შემდგომი რეალიზაციისათვის.

ნაგავსაყრელზე 2024 წ. 6 თვის (იანვარი - ივნისი) მანძილზე შეტანილი იქნა 12 602,56 ტ. საყოფაცხოვრებო ნარჩენი. აღდგენილი იქნა დაზიანებული 60 ცალი 1.1 მ3-ნი სანაგვე ურნა.

## მობილური განყოფილება.

ქ.ოზურგეთში 2024წლის 6 თვის მანძილზე, პერიოდულად იწმინდება სანიაღვრე არხები: დ.აღმაშენებლის, 26 მაისის, ნინოშვილის, წულაძის, დოლიძის, რუსთაველის, ერისთავის, გაბრიელ ეპისკოფოსის, ნაკაშიძის, გურიის ქუჩებზე, ასევე რეგულარულად იწმინდება მდინარეების სკუჩას და ნაბჟუარას კალაპოტები, იწმინდება ნასაკირალის მემორიალის მიმდებარე ტერიტორია. რეგულარულათ იწმინდება ქალაქში შემომავალი გზები. თებერვალში ქალაქის ტერიტორიაზე მოცურების საწინააღმდეგოდ მოყრილი იქნა მარილისა და ქვიშის ნაზავი ნინოშვილის, გამსახურდიას, დოლიძის,იაკობ შემოქმედელის, ლესელიძის, აკაკის, ერისთავის, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩებზე არსებულ აღმართებზე და სოფ.ოზურგეთის ხიდზე. (მრავალჯერადად) გაიწმინდა მდინარეების: სკუჩის და ნაბჟუარას კალაპოტები. დალაგდა და გატანილი იქნა ნარჩენები სოფელ შემოქმედის და სოფ. ცხემლისხიდის ცენტრიდან და ენთოგრაფიული მუზეუმებიდან. აგრეთვე მობილური განყოფილების მიერ ფიზიკური დახმარება გაეწია სტიქიიდან დაზარალებულ ოჯახები. ექვსი თვის განმავლობაში გაიცელა -- 179 358 მ2.( აპრილი -- 48 429 მ2,მაისი--59 143 მ2, ივნისი--71 786 მ2).

**ბილინგის განყოფილება.**

2024 წ. 6 თვის მანძილზე ბილინგის განყოფილების მიერ გაფორმებული იქნა იურიდიული 1098 ხელშეკრულება და ფიზიკური 20220 ხელშეკრულება. ამოღებული იქნა დასუფთავების გადასახადი 162 792 ლარი.აქედან 145 744 ლ იურიდიული პირებიდან. 16 612 ლ ფიზიკური პირებიდან.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობის განყოფილება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 115 ერთეული სასაფლაო, მათ შორის 7 ქალაქის ფარგლებში. ქალაქის სასაფლაოებიდან ყოველდღიურათ ხდება დატოვებული ნარჩენების (ყვავილები, ქაღალდები და სხვა) გატანა-დასუფთავება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებზე ჩატარდა ხე-ბუჩქნარის სანიტარული ჭრა, რომლის საერთო ფართი შეადგენს 3 ჰა. გაიცელა და გაიწმინდა 30 ჰა ფართობი. მავთულბადით გაიღობა 200 მ. ღობე. შხამქიმიკატით მოიწამლა ეკალ-ბარდი და სარეველა ბალახი - 2 ჰა ფართობი. აგრეთვე, სოციალური პროგრამით დასაქმებულ ბენეფიციარებს ვასაქმებთ სხვადასხვა საამუშაოების შესრულებისას.

განათების განყოფილება

განათების განყოფილება ემსახურება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ სოფლის 404 მრიცხველს 10187 ერთეული სანათი მოწყობილობითა და ქალაქის 136 მრიცხველს 3450 სანათი მოწყობილობებით

2024 წლის იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით გარე -განათების განყოფილება მოემსახურა ქალაქის საახალწლო ღონისძიებებს, სოფ შემოქმედში-კალანდობას, რეგულარულად ხდება ქალაქში და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ქსელის აღდგენა და გადამწვარი ნათურების გამოცვლა. თავისუფლების ქუჩის დასაწყისიდან სოფ. შემოქმედის ცენტრამდე

შეიცვალა და დამონტაჟდა 4,5კმ ელ. სადენი, შესაბამისად 135 კრონშტეინი და 135 ც. 100 ვტ ლამპიონი.არსებულ ქსელზე დღესაც მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

## გამწვანების განყოფილება

2024 წლის 6 თვის მანძილზე (იანვარი-ივნისი) გამწვანების განყოფილებამ განახორციელა შემდეგი სახის სამუშაოები: სოფ. ნატანებში (კაპროვანში), დაბა ურეკში, სოფ. ლიხაურში, დაბა ნასაკირალში, დაბა ლაითურში დაამუშავა და დაიჭრა საშეშეთ ქარისგან წაქცეული ხეები. სოფ. შრომაში, სოფ.ცხემლისხიდში, აღმაშენებლის ქ-ზე, სოფ.ლიხაურში, სოფ.ჭანიეთში, დაბა ლაითურში, სოფ.დვაბზუში, ბავშვთა საავადმყოფოსთან ერისთავის ქუჩაზე, სოფ. ნატანებში, დაბა ნასაკირალში, ანასეულის დასახლებაში, სოფ.ბოხვაურში მოიჭრა 87 ძირი ხმელი ხე. აღმაშენებლის, გურამიშვილის, რუსთაველის, ნინოსვილის, ფარნავაზ მეფის და ერისთავის ქუჩებზე გადაიბელა 122 ძირი ჭადარის, მუხის და ნეკერჩხლის ხეები. საქმიან ეზოში სოციალურად შეჭირვებულთათვის საშეშეთ დაიხერხა მორები, შემოქმედში, ეთნომუზეუმში ჩამოიჭრა გამხმარი ტოტები, ქალაქის მერიასთან მოიჭრა ამორტიზირებული 1 ძირი ალვის ხე. მაისი-ივნისის თვეებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარდა გაცელვითი სამუშაოები. მაისის თვეში გაიცელა---- 72 857 მ2, ივნისის თვეში----94 243 მ2.. სულ---167 100 მ2.

## კეთილმოწყობის განყოფილება

1. 2024 წლის 6 თვის მანძილზე(იანვარი-ივნისი) კეთილმოწყობის განყოფილებამ განახორციელა შემდეგი სახის სამუშაოები:
2. შემოქმედში კალანდის წინა სადღესასწაულო მზადება.
3.სოფ.ცხემლისხიდზე გ.სალუქვაძის სახლ-მუზეუმი. კალანდის წინასადღესასწაულო მზადება.
4. ნაძვის ხის და საახალწლო კონსტრუქციების დემონტაჟი და დასაწყობება.
5. გურიის ქ-ზე ცხაურების რემონტი.
6. საახალწლო სახლების გადმოტანა სოფ. შემოქმედიდან.
7. დოლიძის ქ-ზე 4 სართულიანზე სახურავის შეკეთება.
8. საყვავილესთან ცხაურების რემონტი.
9. კახა ინწკირველის ქ-ზე შეკეთდა მდინარე ნაბჟუარაზე არსებული დაზიანებული ხიდის მოაჯირი.
10. ჩოხატაურის ქ-ზე შეკეთდა სტიქიის დროს დაზიანებული სომხური ეკლესიის ღობე.
11. ნაგომარში ელ.განათების ბოძის ჩაცემენტება.
12. თეატრის ბაღში კრანების რემონტი.
13. სოფ. მერიაში ამორტიზირებული ანბულატორიის შენობის დაშლა.
14. თეატრის ბაღში სკამების რემონტი და შეღებვა.
15. პანდუსი შანხაის ბინები შევარდნაძის ქუჩაზე.

16. ზემო ნატანებში საბავშვო ბაღის სახურავის შეკეთება და ნატანებში გარე განათების ბოძების გამაგრება.
17. სოფ. ლიხაურში განხორციელდა ამორტიზირებული სოფლის დასახელების ფირნიშის მოჭრა.
18. გაბრიელ ეპისკოფოსის ქ-ზე, საბავშვო ბაღის მიმდებარე დაიგო ამოცვენილი ფილები.
19. ჭავჭავაძის და იოსებ კეჭაყმაძის ქუჩების კვეთაში არსებულ სკვერში შეკეთდა დაზიანებული საბავშვო ატრაქციონები.
20. აღმაშენებლის ქ-ის დასაწყისში განხორციელდა ძველი ამორტიზირებული ცხაურების დემონტაჟი, ახლის დამზადება და მონტაჟი.
21. ნინოშვილის ქ-ის პარკში ჭიშკრის რემონტი.
22. დ. აღმაშენებლის ქ-ზე წაქცეული ბორდიურების და ამოცვენილი ფილების ჩაწყობა.
23. თაყაიშვილის ქ-ზე ექადიის ხიდის ქვეშ ცხაურების შეკეთება.
24. შეკეთდა თეატრის ბაღში შესასვლელი დაზიანებული ჭიშკრები.
25. აიწყო ახალი სანაგვე ურნები.
26. შეკეთდა თეატრის ბაღში სკამები და ატრაქციონები.
27. განხორციელდა საახალწლო აქსესუარების დასაწყობება გადამწონის საწყობში.
28. განხორციელდა ქალაქში დროშების გაკიდვა.
29. განხორციელდა ჭავჭავაძის ქუჩაზე მოჭრილი ტროლეიბუსის ბოძების ძირების მოჭრა.
30. სოფ. ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის გარშემო განხორციელდა სანათი მოწყობილობების და გარეგანათების ბოძის ჩაცემენტება. 31. ქ. ოზურგეთში, წულაძის ქუჩაზე (უნივერმაგის გვერით) და იოანე პეტრიწის ქუჩაზე (12 სართულიანის მიმდებარე) აიკრა ჩამოცვენილი დეკორატიული ფილები.
32. ქ. ოზურგეთში თამარ მეფის მოედანზე არსებულ ხეივნებში დამონტაჟდა სარწყავი სისტემა.
33. ქ. ოზურგეთში 9 აპრილის (რეზიდენციის წინ), დ. აღმაშენებლის, ერისთავის, წულაძის, გურიის, ნაკაშიძის, თაყაიშვილის ქ-ზე. არსებულ მდ. ბჟუჟზე გადასასვლელ ხიდის ქვეშ, აგრეთვე გმირთა მოედანზე შეკეთდა დაზიანებული ცხაურები, დაცემენტდა და გასწორდა წაქცეული ბორდიურები.
34. ქალაქის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ( სოფ-ში ლიხაურში, დვაბზუში, ნასაკირალში, ლაითურში, ჭანიეთში, შეკვეთილში და დაბა ურეკში) თავიდან დასაცემენტებელია ავარიული გარე განათების ბოძები და საგზაო ნიშნები.
35. ქ. ოზურგეთში რუსთაველის ქ. - ზე შესაღებია ღობეები და ჭიშკრები. (გოთუას ქუჩიდან ნემოროვიჩ-დანჩენკოს ქუჩამდე) აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად გვესაჭიროება ქვემოთ ჩამოთვლილი მასალები.
36. კოსტავას ქუჩაზე დაქირავებულ საწყობში ჩაისვა კარები და შეილესა კედელი, შეკეთდა სახურავი აგრეთვე დამზადდა და საწყობში დამონტაჟდა გისოსები.

37. განხორციელდა 26 მაისის წინა სადღესასწაულო მზადება. (დროშების დაკიდება)
38. ერისთავის ქუჩაზე განხორციელდა ამოცვენილი ფილების გასწორება.
39. ქალაქის ტერიტორიაზე მოიხსნა 26 მაისის დღესასწაულისათვი გაკიდული დროშები.
40. სოფ. ლიხაურში შეიღება გარე განათების ბოძები.
41. ნინოშვილის ქუჩაზე არსებულ სკვერში შეკეთდა დაზიანებული შესასვლელი ჭიშკრები.
42. სიორიძის პარკში მოიჭრა ამორტიზირებული ურნები, შეკეთდა და შეიღება დაზიანებული სკვერის სკამები.
43. დაბა ლაითურში სოციალურად შეჭირვებულ ინვალიდ მოქალაქეს სახლში გაუკეთდა პანდუსი.
44. განხორციელდა კინოს პარკში ევრო 2024 დიდ მონიტორზე ტრანსლიაციისთვის და ყურებისთვის სკამების მოტანა და მოწყობა.
45. შეიღება 5 ცალი გარე განათების ბოძები.
46. სამთო ქიმიის ქუჩის ბინებში დაისო და ჩაცემენტდა 5 ცალი გარე განათების ბოძი.
47. სოფ. ოზურგეთში ობელისკამდე გაითხარა 50 მ ტრანშეა კაბელის ჩასადებათ

## ტრანსპორტის სამსახური

მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში ექვს თვეში შევასრულეთ შემდეგი სამუშაოები: სასოფლო გზების მოწესრიგების, სანიაღვრე არხის ამოწმენდის, ამოღებული მასის გატანა, დამეწყრილი ადგილების მოწესრიგების და სხვა სახის სამუშაოები. შემოიზიდა საშეშე მორები, რომლებიც პერიოდულად ურიგდება სოციალურად დაუცველ ოჯახებს, აღნიშნულ პერიოდში სისტემატურად, ხორციელდებოდა ტრანსპორტის მოვლა შეკეთება.

სულ შესრულებული სამუშაოები 6 თვეში შეადგენს:

| | | |
|---|---|---|
| სანიაღვრე არხების მოწყობა, ამოწმენდა | --- | 29000 გრ/მ. |
| სასოფლო გზების მოწესრიგება | --- | 98170 კვ/მ. |
| ბალასტის გატანა | --- | 4006 მ/კუბ. |
| ინერტული მასალის შეტანა | --- | 4682 მ/კუბ. |
| მდინარის კალაპოტის გასწორება | --- | 4550 კვ/მ. |

## მონიტორინგის განყოფილება

2024 წლის 6 თვის განმავლობაში მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტების მიერ შემოწმებული და მითითებული იქნა შესაბამის განყოფილებებისთვის ქვემო ჩამოთვლილი დაზიანებები.
კერძოდ: თეატრის პარკში დაზიანებული იყო სკვერის სკამები, შესასვლელი ჭიშკრების ანჯამები. ეცნობა კეთილმოწყობის განყოფილებას.ნინოშვილის ქუჩაზე არსებულ სკვერში გამოვლინდა პარკის დასუფთავების საჭიროება. ეცნობა

დასუფთავების განყოფილებას. ქალაქის ტერიტორიაზე ხდება ყოველდღიური მონიტორინგი უმეთვალყურეო მსვილფეხა საქონლის გადაადგილებაზე. ქალაქის ტერიტორიაზე დათვალიერებული და აღმოჩენილი იქნა გასაცელი და გასაწმენდი ქუჩები და სკვერები, გამხმარი და ამორტიზირებული ხეები და მსხვილი ტოტები, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის სახიფათო იყო. ეცნობა გამწვანების განყოფილებას. მონიტორინგის მიზნით თვალყურს ვადევნეთ
უმეთვალყურეო ძაღლების აყვანას ქუჩიდან შემდგომი ცოფის და ჩუმის საწინააღმდეგო აცრის ჩასატარებლად. გადაყვანილი იქნა 210 ძაღლი, აქედა 30 იყო ლეში, 104 ძაღლს ჩაუტარდა სტერილიზაცია და 76 კასტრაცია. შემოწმდა სასაფლაოების მდგომარეობა და მიეთითა სასაფლაოს განყოფილებას ეკალ - ბარდის არსებობის ლოკაციები. ყოველდრიურად ხდება ღამის განათების სისტემის თვალყური, ხოლო დაზიანების შემთხვევაში ეცნობა გარეგანათების განყოფილებას.

**(04 00, 0500)**
**განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის**
**2024 წლის პირველი კვარტლის ანგარიში**

## განათლების განყოფილება

**2024 წლის ექვსი თვის ანგარიში**

**ბიუჯეტი 2 286,26 ათ. ლარი.**

**პროგრამა:**

1. **ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 2216,26 ათ. ლარი**
2. **არაფორმალური, ფორმალური, სკოლამდელი და პროფესიული განათლების ხელშეწყობა – 70 000 ლარი**

2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის მიხედვით (იანვარი-ივლისი) განხორციელებული გვაქვს სხვადასხვა აქტივობები. სულ გაიხარჯა **1 264,66 ათ. ლარი.**

1. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს, განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით დავუფინანსეთ ტრანსპორტის თანხა, 100 ლარის ოდენობით - ჯამში **1500 ლარი**
2. სხვადასხვა კაპიტალური ხარჯებისთვის დავაფინანსეთ ოზურგეთის საჯარო და სამრევლო სკოლები:
   წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლა1480 ლარი;

დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა 2000 ლარი;
სოფელ კონჭკათის საჯარო სკოლა 4900 ლარი;
სოფელ ცხემლისხიდის საჯარო სკოლა 4899,95ლარი
ოზურგეთის N5 საჯარო სკოლა 700 ლარი;
ლიხაურის საჯარო სკოლა 1930 ლარი;
წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა 4560 ლარი;
ოზურგეთის N2 საჯარო სკოლა 1900 ლარი
დაბა ლაითურის საჯარო სკოლა 300 ლარი;
სულ: **22669,95**

3. დედაენის დღესთან დაკავშირებით ჩავატარეთ კალიგრაფიის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და სამრევლო სკოლების IX-XII მოსწავლეებმა. გამოვლინდა სამი გამარჯვებული,რომლებსაც გადაეცათ ბიბლუსის ვაუჩერები. I ადგილი -300 ლარიანი ვაუჩერი , I I ადგილი -200 ლარიანი და I I I ადგილი -100 ლარიანი ვაუჩერი. ღონისძიების ორგანიზებისთვის სულ დაიხარჯა **800 ლარი.**

4. აუტიზმის ცნობადობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სპეციალისტებთან ერთად ჩავატარეთ საინფორმაციო შეხვედრა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებთან, ასევე შევხვდით სკოლამდელი აღზრდის სპეც. პედაგოგებსა და აღმზრდელებს, სადაც სპეციალისტებმა დამსწრეებს გაუზიარეს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება. ღონისძიებას ესწრებოდა 200 ადამიანი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 36 ბენეფიციარს, მათი განვითარების მხარდაჭერის მიზნით, შევუძინეთ და საჩუქრად გადავეცით სახალისო სათამაშო რესურსი, ჯამში - **2169 ლარი.**

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, განათლების განყოფილების ჩართულობით, მონაწილეობა მიიღო , ევროკავშირისა და გოეთეს ინსტიტუტის მიერ დაფინანსებულ საგრანტო კონკურსში ,,შემოქმედებითი კომპასი''. ბიუჯეტი: 5000 ევრო. პროექტის ფარგლებში განხორციელდება ინდუსტრიული, საწარმოო, საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და სხვა საბჭოური პერიოდის შენობა-ნაგებობების აღნუსხვა.

6. 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კულტურისა და მოსწავლე ახაგაზრდობის ცენტრთან და კულტურის განყოფილებასთან ერთად ჩავატარეთ ღონისძიება. ღონისძიებაში მონაწილეობდა ბავშვთა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, თოჯინების თეატრის მსახიობები და სხვა. ღონისძიების ორგანიზებისთვის დაიხარჯა **2000 ლარი.**

7. მოსწავლეთა ტრანსპორტირება - **1 230 180** ლარი.

## სპორტი ( იანვარიდან-ივნისის ჩათვლით)

| N | ღონისძიების დასახელება | აღწერილობა | ბრძანების N ხელშეკრულების N | გახარჯული (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 299; თარიღი: 16/08/2023 | **100,00** |
| 2 | რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 286; თარიღი: 04/08/2023 | **240,00** |
| 3 | სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელის სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 65; თარიღი: 16/02/2023 | **91,00** |
| 4 | სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელის სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 62; თარიღი: 13/02/2024 | **220,00** |
| 5 | რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 59; თარიღი: 08/02/2024 | **1 036,00** |
| 6 | სუბსიდიები - კერძო არაფინანსური საწარმოები | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 6; თარიღი: 30/01/2024 | **4 000,00** |
| 7 | სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელის სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 63; თარიღი: 13/02/2024 | **160,00** |
| 8 | სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელის სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 114; თარიღი: 08/04/2024 | **236,00** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 114; თარიღი: 08/04/2024 | **220,00** |
| 10 | სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელის სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 116; თარიღი: 08/04/2024 | **85,00** |
| 11 | სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელის სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 115; თარიღი: 08/04/2024 | **80,00** |
| 12 | რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 140; თარიღი: 26/04/2024 | **125,00** |
| 13 | რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 139; თარიღი: 26/04/2024 | **275,00** |
| 14 | ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101) | ხელშეკრულება #: 163; თარიღი: 16/05/2024 | **1700** |
| | სულ | | | **8568** |

## კულტურა ( იანვარიდან-ივნისის ჩათვლით)

| N | ღონისძიების დასახელება | აღწერილობა | ბრძანების N ხელშეკრულების N | გახარჯული (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | კალანდა (საგამოფენო ღონისძიების ხარჯები ი.მ მ. შარაშენიძე) | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 20; თარიღი: 11/01/2024 | **42 000,00** |
| 2 | კალანდა (საგამოფენო ღონისძიების ხარჯები ი.მ ეკა სალუქვაძე) | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 21; თარიღი: 11/01/2024 | **2 700,00** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3** | კალანდა (საგამოფენო ღონისძიების ხარჯები ი.მ ნონა აფრიდონიძე ) | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 22; თარიღი: 11/01/2024 | **4 500,00** |
| **4** | კალანდა (საგამოფენო ღონისძიების ხარჯები შპს შპს სითი ივენთ ჯორჯია) | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 23; თარიღი: 11/01/2024 | **8 500,00** |
| **5** | კალანდა (საგამოფენო ღონისძიების ხარჯები ი.მ ჭიჭიკო ხელაძე) | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 24; თარიღი: 11/01/2024 | **13 075,00** |
| **6** | კალანდა (საგამოფენო ღონისძიების ხარჯები ი.მ რევაზი ბაღაშვილი) | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 27; თარიღი: 12/01/2024 | **15 500,00** |
| **7** | ყვავილების თაიგულის შეძენა (მაკა რამიშვილთან) | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 60; თარიღი: 08/02/2024 | **300,00** |
| **8** | თაიგულების შეძენა | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 79; თარიღი: 07/03/2024 | **300,00** |
| **9** | აჭარის ვოკალური სახელმწიფო ანსამბლი ბათუმი (8 მარტის კონცერტი) | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 80; თარიღი: 07/03/2024 | **5 000,00** |
| **10** | სათამაშო ბუშტები და ბურთები; | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 98; თარიღი: 19/03/2024 | **750,00** |
| **11** | კერძების მომზადების მომსახურება; | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 96; თარიღი: 19/03/2024 | **1 150,00** |
| **12** | წინდები; | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 97; თარიღი: 19/03/2024 | **1 000,00** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **13** | ყვავილების თაიგულები; (9 აპრილი) | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 113; თარიღი: 08/04/2024 | **135,00** |
| **14** | ყვავილების თაიგულები; | 05 02 01 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 156; თარიღი: 08/05/2024 | **200** |
| **15** | ყვავილების თაიგულები; | 050201 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 173; თარიღი: 24/05/2024 | **200** |
| **16** | კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები (ი.მ მარიამ შარაშენიძე) | 050201 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 176; თარიღი: 24/05/2024 | **16 500,00** |
| **17** | ბეჭდვასთან დაკავშირებული მომსახურებები; (შპს ივენთ გეორგია) | 050201 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 182; თარიღი: 30/05/2024 | **300,00** |
| **18** | ცეკვებისა და წარმოდგენების დადგმა; | 050201 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | ხელშეკრულება #: 181; თარიღი: 30/05/2024 | **4 000,00** |
| **19** | კერძების მომზადების მომსახურება; (ი.მ ნონა აფრიდონიძე) | 050201 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწუობა | ხელშეკრულება #: 210; თარიღი: 14/06/2024 | **650,00** |
| | | | | **სულ: 116760** |

(06 00)

## 2024 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის 6 ანგარიში

**მუხლი 2. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 02);**

პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული (სარეიტინგო ქულით 0-დან 150001-მდე) მოქალაქეებს მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებას;

პროგრამიდან 6 თვის მანძილზე სამედიცინო მომსახურებისთვის დახმარება გაეწია - **914** მოქალაქეს.

აქედან მედიკამენტოზური მკურნალობის დასაფინასებლად ფარმაცევტულ დაწესებულებებში დახმარება გაეწია -**9700** მოქალაქეს - თანხით 9700 ლარით;

ხოლო, **234** მოქალაქეს გაეწია მომსაურება სამედიცინო დაწესებულებებში -თანხით 76294 ლარით;

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 144 294 ლარი.**

**მუხლი 3. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 03);**

**პროგრამა ითვალისწინებს**:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირებს, რომლებიც ჩართული არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და ეძლევათ კვარტალში ერთხელ ფულადი დახმარება, ქალაქად მცხოვრები ფენეფიციართათვის 300 ლარის ოდენობით, ხოლო, სოფლად მცხოვრები ბენეფიციართათვის 350 ლარი.

განყოფილებას დაეწერა და განხილულია 37 მოქალაქისთვის ყოველკვარტალური დახმარებების განცხადება.

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 24 900 ლარი;**

**მუხლი 4 ონკოლოგიური დაავადებული პირების დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 04);**

პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებისათვის, სამედიცინო დაწესებულებებში, სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება;

განყოფილებას დაეწერა და განხილულია 452 განცხადება. აქედან 116 მოქალაქეს გაეწია დახმარება ფარმაცევტულ დაწესებულებაში თანხის ჩარიცხვით - 28992,52 ლარი, ძვირადღირებულ მედიკამენტებზე დახმარება გაეწია -1 მოქალაქეს -300 ლარი, ავთვისებისანი დიაგნოზის მქონე 276 მოქალაქეს სამედიცინო დაწესებულებაში ჩარიცხვით 114540 ლარი, კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ 59 მოქალაქეს გაეწია დახმარება 15901 ლარი,

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 159 733,52 ლარი**

**მუხლი 5. გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება ( პროგრამული კოდი 06 01 05);**

პროგრამა ითვალისწინებს:

გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მოსახურების დროს, სამედიცინო დაფინანსება, რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში; განხილულია **402** განცხადება.

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 107 538,84 ლარი;**

**მუხლი 6. ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფია, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია და სხვა) დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 06);**

პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირთა, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდეა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანთა, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირთა და შშმ ბავშვთა, თანადაფინანსებას, საჭიროების შემთხვევაში ; განხილულია **87** განცხადება.

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 33 983,69 ლარი;**

**მუხლი 8. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01);**

პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტირებულ იმ მრავალშვილიან ოჯახთა ყოველთვიურ დახმარებას, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 120 001-დან 150 001-მდე; განხილულია 8 ოჯახისთვის, განკუთვნილი დახმარება.

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 4 425 ლარი;**

**მუხლი 9. დღის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02);**

პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსებას, რომლებიც სარგებლობენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“ დღის ცენტრის მომსახურებით. ასევე დღის ცენტრის ადმინისტრირებაში მყოფ, ბავშვთა საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციართა საკურორტო სეზონზე დასვენების თანადაფინანსებას.

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 22 500 ლარი**

**მუხლი 10. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშთა დახმარება. (პროგრამული კოდი 06 02 03)**

პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარებას. დახმარება გულისხმობს ბენეფიციარებისათვის წელიწადში 4-ჯერ (კვარტალში ერთხ) მატერიალურ დახმარებას, სულ 4 ბავშვი.

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 4 000 ლარი;**

**მუხლი 11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04);**

განხილულია 394 განცხადება: შშმ მხედველობით ; შშმ პირთა - შშმ პირთა ჰიგიენური საშუალებების შესაძენად და შესაბამისი სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის (ასოციაცია „გურია“, „ოდა ქეარი“ „ლაზიკა მედი“; ადრეული განვითარების ცენტრი; ადაპტი და სხვა, მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ არსებული სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები) აუტისტური სპექტრის, დღის ცენტრის მომსახურების და ადრეული განვითარების პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა დაფინანსება

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 148 079,79 ლარი;**

**მუხლი 12. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05);**

პროგრამა ითვალისწინებს:

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული ოჯახების დახმარებას, განხილულია 38 განცხადება.

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 7 650 ლარი;**

**მუხლი 13. სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06);**

**პროგრამა ითვალისწინებს:**

სამამულო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე პირის გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯებისათვის, გარდაცლვლილის ოჯახის ფინანსურ დახმარებას;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ გარდაცვლილის ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 120

001-მდეა, ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, ასევე უჭირისუფლო (უპატრონო) მიცვალებულის სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას.
განხილულია 48 განცხადება.
**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 13 250 ლარი;**

**მუხლი 14. ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 07);**

პროგრამა ითვალისწინებს:

საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების (3-8 მარტი, 9 აპრილი, 9 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი, 3 დეკემბერი, 2004 წლის 16 აგვისტო, საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას გარდაცვალების დღე ) აღნიშვნას, ბენეფიციარების ფულად დახმარებას. 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა ერთჯერადი ფულადი დახმარებას.

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 7 915 ლარი;**

**მუხლი 15. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა: (პროგრამული კოდი 06 02 08);**

დახმარება გაეწია 52 ოჯახს, აქედან 5 ოჯახმა ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო ხანძრის შედეგად დამწვარი და მძიმე საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციისთვის. 17 ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლის სამშენებლო მასალის შესაძენად გაეწია ფინანსური დახმარება, ასევე 30 უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს ერიცხებათ ყოველთვიურად საცხოვრებელი ბინის ქირა.- 157.56 ლარი.

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 144 758 ლარი;**

**მუხლი 16. მზრუნველობამოკლებულთა ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა ( პროგრამული კოდი 06 02 09);**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეჭირვებული მოსახლეობის, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 120 001-მდეა (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა) დახმარების მიზნით, ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფას. კვების პროგრამაში ჩასმულია 180 მოქალაქე;

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 11 5740 ლარი;**

**მუხლი 17. სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 10);**

პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთში, მეცნიერების ქ. №16-ში მდებარე ხანდაზმულთა სახლში მყოფი ბენეფიციარების მომსახურების სუბსიდირებას, ხანდაზმულთა სახლის კომუნალური (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია) გადასახადების დაფინანსებით უზრუნველყოფის სახით და საქველმოქმედო ფონდ „კარიტასი“თანადაფინანსება

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 13 369 ლარი.**

**მუხლი 18. სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11);**

პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ოჯახთა დახმარებას, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 70001-მდეა, ბავშვის დაბადების შემთხვევაში; განხილულია 101 ოჯახის დახმარებისთვის განცხადება.

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 10 100 ლარი;**

**მუხლი 19. გენდერულ საკითხთა, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსი მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა, 18-წლამდე ასაკის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 12);**

პროგრამა ითვალისწინებს:

გენდერულ საკითხთა, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსი მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის პროგრამიდან დახმარება გაეწია 2 მოქალაქეს -1000 ლარის ოდენობით

რაც შეეხება 18-წლამდე ასაკის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამას იგი გულისხმობს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარებას:

- ჰიგიენისთვის საჭირო ნივთების შესაძენად ერთჯერადად ან ყოველთვიურად თითო ბავშვზე 30 ლარის ოდენობით;
- საკვების შესაძენად ერთჯერადად ან ყოველთვიურად (გარდა თამბაქოს ნაწარმისა და ალკოჰოლური სასმელებისა) არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით;
- სასწავლო ნივთების და სეზონური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაძენად ერთჯერადად ან ყოველთვიურად არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით;
- პირველადი აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად ერთჯერადად არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ინდივიდუალურად, ბავშვის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის მომსახურების განყოფილების მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილების საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ.

საერთო ჯამში 2024 წელს ფულადი დახმარება გაეწია 108 არასრულწლოვანს. 21810 ლარის ოდენობით

**2024 წელს 6 თვის მანძილზე გაიხარჯა 22 810 ლარი**

**07 00**

**ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა**

2024 წლის II კვარტლის (01.04.2024 – 28.06.2024) მონაცემები:

1. **შემოსავალმა მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან სულ შეადგინა 15.098 ლარი, მათ შორის:**

ა) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების იჯარის შემოსავალმა შეადგინა 12524. 50 ლარი;
ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების იჯარის შემოსავალმა შეადგინა 2574.18 ლარი;

2. **შემოსავალმა შენობებისა და ნაგებობების იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან სულ შეადგინა 13300.38 ლარი, მათ შორის:**

ა) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების იჯარის შემოსავალმა შეადგინა 13147.40 ლარი;
ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების იჯარის შემოსავალმა შეადგინა 152.98 ლარი.

3. **შემოსავალმა უძრავი ქონებების პრივატიზებიდან სულ შეადგინა 145378.23 ლარი, მათ შორის:**

ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებიდან - 67520.92 ლარი ;
ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებიდან - 73929.60;
გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებიდან - 3928.25;

4. **სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების პრივატიზებიდან შემოსავალმა შეადგინა 28309.20 ლარი**
5. **მანქანების და ავტობუსების გაყიდვიდან შემოსულია 35673.75**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვა-განკარგვიდან ჯამში შემოსულია - 237 759.56 ლარი.**